№ 51
სამშაბათი, 18 მარტი 1897 წ.

1877—1897

# ივერია

№ 51
სამშაბათი, 18 მარტი 1897 წ.

გაზეთი ღირს:

| თუ | მან. კ. | თვ. | მან. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომ. — ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

## სამკერვალო სკოლა ქალთა ამხანაგობისა

მიიღებს შესაკერად კაბებს, წამოსასხამებს და სხვა მორთულობის შეკვეთას.

ვერა, გაბაევის ვიწრო ქუჩა, № 3.

(3—3)

### რედაქციისაგან

იმ ხელის-მომწერთ, რომელთაც ნახევარ წლით აქვთ დაკვეთილი გაზეთი შარშანდელ წლის პირველ იანვრიდგან, გაზეთის გზავნა მოესპოთ ამ წლის პირველს მარტს, რადგან შარშან ოთხი თვე და ჩვიდმეტი დღე მიღებული აქვთ გაზეთი და ეხლაც ერთის თვისა და ცამეტის დღის გაზეთი პირველ მარტამდე შეუსრულდათ. ვისაც ჰსურს პირველ მარტიდამ ამ წლის დამლევამდე მიიღოს გასეთი, უნდა გამოგზავნოს ათის თვის ფასი გაზეთისა 8 მან. 33 კაპ.

**ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის ზედამხედველი კომიტეტი**, თავისის 5 მარტის დადგენილების თანახმად, **აუწყებს ამა ბანკის ბ-ნთ წევრთ-დამფუძნებელთ**, რომ ამიერიდგან დამფუძნებელ წევრებად აღარ იქმნებიან ჩარიცხულნი ისინი, რომელთაც მამულის შემოსავლისა თუ გლეხთა განთავისუფლების გამო მიღებულ ფულის კვალობაზედ ნება აქვთ წევრად ყოფნისა, თუ თხოვნა წევრად ჩარიცხვის შესახებ შემოტანილია სხვათაგან, თუნდა უმახლობელესი ნათესავებიც იყვნენ ეს სხვანი, და იმასთან ერთად არ არის წარმოდგენილი წერილობითი თანხმობა ანუ ქაღალდი რწმუნებისა თვით იმათი, რომელნიც უნდა ჩარიცხულ იქმნენ დამფუძნებელ წევრებად.

(3—6.—1)

## ახალი ამბავი

—

*** ჩვენ შევიტყვეთ, რომ ტფილისის სასულიერო სემინარიის მასწავლებელი მღვდელ-მონაზონი (აბაშიძე) დაუნიშნავთ ქუთაისის სასულიერო სემინარიის ინსპექტორად. მამა დიმიტრი სულ ახალგაზდა კაცია და ეს სამი წელიწადი იქნება, რაც სწავლა დაასრულა სასულიერო აკადემიაში.

*** სურამსა და იმის ახლო-მახლო სოფლებში ყვავილი მძვინვარებს თურმე. ტფილისის გუბერნატორ თ. შარვაშიძემ იქ გაჰგზავნა გუბერნიის ექიმის თანაშემწე ექიმი ბ-ნი მაჭავარიანი და ერთიც სხვა ექიმი გორის მაზრიდგან, რომ ღონისძიებანი იღონონ ამ სენის მოსასპობლად.

*** რუსეთის საიმპერატორო საბაღოსნო საზოგადოების კავკასიის განყოფილება წელს მუშტაიდში ხილეულობის გამოფენას გაჰმართავს, რომელიც 15 ოქტომბრიდგან 1-ლს ნოემბრამდის გასტანს. მსურველთ შეუძლიან, თავიანთი ბაღის ხილეულობა გამოჰფინონ და ვისი ხილიც კარგი აღმოჩნდება, ჯილდოსაც მიიღებს. ჯილდოსათვის მიწად-მოქმედების სამინისტროს მიერ ათი თუმანია გადადებული.

*** აპრილის დამლევს რიცხვებში ტფილისის სამოსამართლო პალატის სისხლის სამართლის დეპარტამენტის განყოფილება გაემგზავრება ბაქოსა და ერევნის გუბერნიებში დანიშნულ საქმეთა განსახილველად.

*** 22 მარტს ტფილისის სამოსამართლო პალატაში დანიშნულია განსახილველად საქმე არჩილ მაჭავარიანისა, რომელსაც ლევან აბაშიძის მოკვლა ჰბრალდებოდა. ქუთაისის ოლქის სასამარლომ ბრალდებული გაამართლა, მაგრამ ბრალმდებელი არ დაეთანხმა ოლქის სასამართლოს გარდაწყვეტილებას და ეს საქმე პალატაში გადაიტანა.

*** ოლქის შტაბს ბრძანება გამოუცია, რომ ის აფიცრები, რომელთაც სამხედრო იურიდიულ აკადემიაში შესვლის სურვილი განაცხადეს წელს და რომელნიც მათმა უფროსებმა ამის ღირსადა სცნეს, მომავალი მაისის 1 რიცხვის არა უგვიანეს ეგზამენის გარდასახდელად უნდა გამოცხადდნენ შტაბში.

*** მიწად-მოქმედების მინისტრის რწმუნებულს ბ-ნ მედვედევს ტფილისის გუბერნიის სხვა-და-სხვა ალაგას კავკასიის სააბრეშუმე სადგურის უფროსი მეაბრეშუმე ბ-ნი ანტროპოვი გაუგზავნია, რომელსაც დავალებული აქვს ცნობები შეჰკრიბოს, რა მდგომარეობაშია იქ მეაბრეშუმეობა და აგრეთვე ხალხს აბრეშუმის ჭიის (ყაჭის) რიგიანი ხელი ასწავლოს.

*** კვირას, 16 მარტს, მასწავლებელ და აღმზდელ ქალთა ურთიერთშორის დამხმარებელ საზოგადოების წევრთა წლიური კრება იყო, რომელსაც 77 წევრი დაესწრა. კრებამ მოისმინა წარსულის წლის ანგარიში, ამ ანგარიშის შესახებ სარევიზიო კამისიის მოხსენება და დაამტკიცა წარსულის წლის ანგარიშიცა და ამ წლის ხარჯთაღრიცხვაც. ამის შემდეგ საზოგადოების საპატიო წევრად მ. ვ. წოვიანოვისა იქმნა ერთხმად არჩეული. დასასრულ აირჩიეს საზოგადოების მოხელენი: გამგეობის წევრებად—კნ. რ. დ. მელიქოვისა და ს. მ. მარტინოვისა, იმათ კანდიდატებად—ა. ვ. ვერეტენიკოვისა, ო. ვ. გეევსკისა, ო. ნ. ბოგდანოვიჩი და ნ. ნ. პაშჩენკო; მდივნად—სვიდერსკისა, და სარევიზიო კამისიის წევრებად—ა. ს. კუზმინი, ვ. რ. შენგერი და ე. ვ. ვარაბიევისა.

*** „ნოვ. ობოზ."-ს გაუგონია, რომ თავ. გ. დ. წერეთელმა ქიათურიდგან ჰალის ტყემდის რკინის გზის გაყვანის ნება-რთვა მიიღოო.

*** „ნოვ. ობოზ."-ს სიტყვით, 12 მარტს ქუთაისის თავად-აზნაურთ განსვენებულის თავ. ნ. ზ. ჭავჭავაძის სულის მოსახსენებლად პანაშვიდი გარდაუხდიათ და თავიანთის მარშლისთვის, რომელიც ამ ჟამად ტფილისში იმყოფებოდა, დეპეშით უცნობებიათ ეს ამბავი და უთხოვნიათ, რომ განსვენებულის ნათესავთ ჩვენ მაგიერ სამძიმარი უთხარითო.

*** გაზ. „პეტ. ვედ."-ის სიტყვით, ამ ჟამად პეტერბურგში საფრანგეთისა და გერმანიის რამდენიმე გამოჩენილი ვარსკლავთ მრიცხველნი იმყოფებიან და ჩქარა დიდებულ კამელ ფლამარიონსაც მიელიან. ვარსკლავთმრიცხველები პულკოვის აბსერვატორიას ათვალიერებენ. პეტერბურგიდგან ეს მეცნიერნი საქართველოში ჩამოვლენ თურმე აბასთუმნის აბსერვატორიის დასათვლიერებლად.

*** თიანეთის მაზრა: ამ თვის 8-ს სოფ. ბოჰორმის (ერწოშია) წმ. გიორგის ძველი ეკკლესია ვიღაც ბოროტ-მომქმედებმა გასტეხეს! ეკკლესია დაყენებულია და მხოლოდ წელიწადში ორჯელ (23-ს აპრილს და 10 ს გიორგობისთვეს) არის ხოლმე წირვა, რადგან კარგა ბევრი მლოცავი მოდის აქ, თიანეთის მაზრის გარდა, დუშეთის მაზრიდგანა და კახეთიდამ. ეკკლესიაში ავაზაკთ მოსაპარი რომ ვერა ეპოვნათ-რა, ეკკლესიის კედლები გამოენგრიათ, იატაკი გადაეთხარნათ, იქნება მლოცველთა შეწირულებანი იყოს სადმე დამალულიო... ხელცარიელნი მაინც არ წასულან ავაზაკნი. მლოცველთაგან შეწირული პატარა ზარები და ერთი

## ფელეტონი

—

### ნაწყვეტი.

—

მწარე სიტყვა, უსამართლო,
გულსა ცეცხლად მოედების,
დასთუთქავს და დააწყლულებს,
არც მოკვდება, არც მორჩების;
სიტყვა ტკბილი გულს აშაქრებს,
ჭირი, წყენა ავიწყდების,
თვით მიცდია: ენით მკვდარი
ენისგანვე გაცოცხლდების.

დ. მაჩხანელი

### სავაჭრო ბაზრების მოპოვება

პროფესორის იანჟულის მიერ ხარკოვის კეთილშობილთა საკრებულო დარბაზში წაკითხული ლექცია ხარკოვისავე საჯარო სამკითხველოს სასარგებლოდ.

1 მარტს ხარკოვის კეთილშობილთა საკრებულო დარბაზში მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორმა იანჟულმა წაიკითხა ფრიად საინტერესო ლექცია ხარკოვის საჯარო სამკითხველოს სასარგებლოდ.

„იყო და არა იყო-რა"-ო, ასე დაიწყო იანჟულმა თავისი ლექცია, იყო ერთს ქალაქში ერთი მეთულუხე, სახელად ვანდალენი. იმას პირობისამებრ წყალი დაჰქონდა ქალაქის მცხოვრებლებთან. იმავე ქალაქში სცხოვრობდა ერთი გრძნეული ადამიანი. ამ გრძნეულთან არც ამ ჩვენს მეთულუხეს და არც სხვას არ მიჰქონდა წყალი, მაგრამ ამისდა მიუხედავად, იმისი წყლის ქურქლები ყოველთვის სავსე იყო წყლით. ეს გარემოება აოცებდა მეთულუხეს. ერთს დღეს მეთულუხე შეიპარა გრძნეულის ოთახში, მიიმალა სადღაც კუთხეში და დაუწყო თვალიერება ოთახს. ერთს კუთხეში შენიშნა მიყუდებული ცოცხი, რომელსაც გრძნეულმა რაღაცა ლოცვები უთხრა. უეცრად ცოცხი კაცად გადაიქცა, დაუწყო წყალს ზიდვა და ერთის წუთის განმავლობაში აავსო ყველა წყლის ჭურჭლები. ამ ამბავმა ისე გააოცა და გაახარა მეთულუხე, რომ სულ დაავიწყდა კიდევ დაეგდო ყური იმ ლოცვებისთვის, რომლის ძალითაც წყლის მზიდველი ისევ ცოცხად იქმნა გადაქცეული. დაისწავლა თუ არა პირველი ლოცვა, აღტაცებული გამოვარდა გარეთ, მერე შეიპარა გრძნეულის ოთახში, როცა იგი შინ არ იყო, და მიჰმართა ცოცხს დასწავლილის ლოცვით. ცოცხი მართლა წყლის მზიდველად გადაიქცა და ბრძანებისამებ დაუწყო ქალაქის მცხოვრებთ წყლის ზიდვა. ჰზიდა და ჰზიდა წყალი ამ საოცარმა მეთულუხემ. აავსო ყველა ჭურჭლები. ჭურჭლებში რომ აღარ დაეტია წყალი, ნაპირებზედ გადმოვიდა და მთელს ქალაქს წალეკვას უქადიდა, თუ დროზედ გრძნეული არ მისულიყო და ეს საოცარი მეთულუხე ისევ ცოცხად არ გადაექცია.

დედა-აზრი ამ ზღაპრისა იმას გვამცნევს, რომ მეთულუხემ ისკი ისწავლა როგორ გადაექცია ცოცხი წყლის მზიდველად, მაგრამ სიხარულით აღტაცებულმა აღარ დაუგდო ყური იმ სიტყვებს, რომლის ძალითაც გრძნეულმა წყლის მზიდველი ისევ ცოცხად გადააქცია.

თუ რიგიანად ჩაუკვირდებით ამას, სწორედ ამისთანავე მოვლენას შენიშნავთ ევროპის ეხლანდელ ეკონომიურს ცხოვრებაში. ვიცით დამუშავება სხვა-და-სხვა შეუმუშავებელის მასალისა, ვიცით წარმოება, მაგრამ როგორღაც ვერ მოგვიხერხებია მეტად გადაჭარბებულის წარმოების შეჩერება. ეხლანდელს დროში ეს გადაჭარბება სრული ჭეშმარიტებაა, ყოველს ეჭვს აცილებული. ამის დასამტკიცებლად საკმარისია მოვიგონოთ ეხლანდელი ტეხნიკური გაუმჯობესობანი, რომელსაც მართლა განცვიფრებაში მოჰყავს კაცი.

მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი. ჰომერის „ოდისეიაში" ოდისეის პატიოსანი მეუღლე პენელოპა, როსელსაც გარს საქმროები ეხვია და მოსვენებას არ აძლევდნენ, იძულებული ხდებოდა ემუშავებინა განუწყვეტლივ დღე და ღამე თორმეტი მოახლე, რომ უბრალო ხელის საფქვავით მოემზადებინათ 12 საქმროს, თითონ პენელოპას და 12 მოახლეს სამყოფი ფქვილი. როგორცა ჰსჩანს თითო მოახლე ამზადებდა დღე და ღამე ორის ადამიანის საკმარისს ფქვილს. ეხლანდელს დროში ამერიკულის წისქვილის საშუალებით ერთი კაცი დღეში ამზადებს 4000 კაცის სამყოფ ფქვილს. უწინდელს დროში მეწაღე ერთის წყვილის წაღების შეკერვას ანდომებდა 2—3 დღეს. ეხლა ძველის ამერიკულის მანქანის საშუალებით ერთს კაცს შეუძლიან 300 წყვილის წაღის შეკერვა დღეში, ხოლო ახალის მანქანის საშუალებით 500—600 მეტს მოამზადებს დღეში.

ამერიკაში მზადდება ყოველ წელს 600,000 საკერავი მანქანა, რაც ეთანაბრება 7,200,000 ქალის ყოველ დღიურ შრომას. ეხლანდელის მიწის სამუშაო იარაღების საშუალებით ერთი ამერიკელი მუშა კიდეც მომკის, კიდეც შეჰკრავს ძნებად და დააგროვებს ერთ ადგილას იმოდენა პურს, რომ ადამიანი განცვიფრებაში მოვიდეს. საძაც უნდა გავიხედოთ, დავინახავთ, რომ ყველა გატაცებით ჰშრომობს და სცდილობს ახალი რამ გამოიგონოს; ბაზრები, საწყობები, ნავთ-სადგურები,—ავსებულია სხვა-და-სხვა საქონლით, მაგრამ მოთხოვნილება შედარებით ნაკლებია საქონლის რაოდენობასთან შედარებით. მაგალითად, როგორც სჩანს ინგლისის 1896 წლის სტატისტიკო ცნობებიდგან, ქაღალდი, მატყლი, აბრეშუმი და სხვა ამგვარი სამანუფაქტურო საქონელი მზადდება ყოველ წელიწადს 826 მილიონი გირვანქა სტერლინგად წოდებული; ჰხმარობენ-კი 719

არშინის ტოლა აბრეშუმის ნაქსოვი წაუღიათ.

⁂ იქიდამე: მარტის უწმაწურმა ჰაერმა უგემოთ არ ჩაიარა! ტფილისიდამ სახლში მომავალთ სოფ. ქილაურის მცხოვრებს აპარეკე არაბულს და სოფ. ტოლათსოფლის მცხოვრებს გარსუნა ბურდულს ამ თვის 8 მარტს საბადურის მთის ყელზე დაჰღამებოდათ. ღამის წყვდიადს და ქარ-ბუქს გზა აერია. უგზო-უკვლოდ მომავალნი ცხენით ჩაცვივნულიყვნენ ნამქერალში. მეორე დღეს ტფილისისაკენ მიმავალთ გარსუნას ცხენი და არაბული ნამქერალში დახოცილები ენახათ. მაშინვე სოფლის მოხელეთ ეცნობათ ეს ამბავი. მამასახლისმა არაბული სოფლად ჩაატანინა და თვით-კი მუშებით გარსუნას ძებნას შეუდგა. მესამე დღეა ეძებენ უბედურს ბურდულას და ჯერ ვერ უპოვიათ.

⁂ სოფ. მცხეთა. 13 მარტს მთავარ-მმართებელმა თ. გ. ს. გოლიცინმა და მათმა მეუღლემ დაათვალიერეს მცხეთის ტაძარი. ტაძარში დაუხვდა მისი უსამღვდელოესობა გორის ეპისკოპოსი ალექსანდრე კრებულითურთ. მისმა უსამღვდელოესობამ მათს ბრწყინვალებას მიულოცა მშვიდობით მობრძანება. მერე აუწერა მცხეთის ტაძარი, ეს შესანიშნავი ძეგლი საქართველოს მრავალ-საუკუნოვან ისტორიისა, და მიაქცია ყურადღება მათის ბრწყინვალებისა ამ სიწმიდის უნუგეშო მდგომარეობასა. უმაღლესის ნება-რთვით ხელის მოწერაა გამართული და ფული გროვდება ამ ძეგლის შესაკეთებლად და, იმედია, თქვენც აღმოგვიჩენთ დახმარებას ამ მთელ მართლ-მადიდებელთა საქმეშიო. მათმა ბრწყინვალებამ დახმარება აღუთქვა. პარაკლისის შემდეგ, თავადებმა გააცნეს მთავარ-მმართებელს და მის მეუღლეს მცხეთის დედათა მონასტრის მოხუცებული წინამძღვარი. მერე თავადი ნაწილებსა და ხატებს ემთხვია, ქართულად მადლობა გადაუხადა მონასტრის სკოლის მოსწავლე-ქალებს, რომლებიც ქართულად ჰგალობდნენ, და ხილისთვის ფული აჩუქა.

⁂ გორი. აქაურს საკრებულო ტაძარში ახლად განწესებულმა მღვდელმა დიმიტრი ტატიშვილმა კვირას, 9 მარტს, პირველად სწირა ამ ტაძარში. წირვას მრავალი ხალხი დაესწრო. წირვის შემდეგ მამა დიმიტრიმ გრძნობით სავსე ქადაგება წარმოსთქვა, რომელმაც ძლიერ იმოქმედა მსმენელებზედ და ყველანი ნასიამოვნები დაბრუნდნენ წირვიდგანა.

⁂ ტფილისის პოლიცია დაეძებს 9 წლის ბავშვს, ივანე ციგარიძეს, რომელიც ამ ერთი კვირის წინად სადღაც დაკარგულა.

⁂ 11 მარტს ტფილისის სახელოსნო სასწავლებლის 4 მოსწავლე (2 ბერძენი, 1 ქართველი და 1 რუსი) სადღაც გარდაიხვეწნენ. მოსწავლეების მშობლებმა ეს ამბავი პოლიციას აცნობეს და შემდეგ სასწავლებლის დირექტორს ბ-ნ დანილოვს. ამხანაგების გამოკითხვამ აღმოაჩინა, რომ იმათ თურმე ერთი-ერთმანეთს პირობა მისცეს, საბერძნეთში წავიდეთ და ჯარში ჩავეწეროთო. სხვა მოსწავლეებსაც ურჩევდნენ, ჩვენთან წამოდითო, და ჰპირდებოდნენ, თუ რომ წამოხვალთ, ფულის მხრივ დაბრკოლება არ გექნებაო, ახალგაზდა მხედართ თურმე იმედი ჰქონდათ, ბათუმში რომ ჩავალთ, 12 მარტს, მაშინვე საბერძნეთის გემზედ დავსხდებით და საბერძნეთის გზას გაუდგებითო. დირექტორის ბ-ნ დანილოვის თხოვნით ტფილისის პოლიციას ბათუმის პოლიცმეისტრისთვის დეპეშა გაუგზავნია, გამოქცეული მოსწავლეები შეიპყარითო, მაგრამ ჯერ ბათუმიდგან პასუხი არა მოსულა-რა.

## საბაღოსნო საზოგადოების წევრთა კრება.

კვირას, 16 მარტს, რუსეთის საბაღოსნო საზოგადოების კავკასიის განყოფილების წევრთ მიწად-მოქმედების მინისტრის რწმუნებულის კანცელარიაში მორიგი კრება ჰქონდათ. კრების თავმჯდომარემ—ბ-ნ შავროვმა დამსწრეთ აუწყა, რომ 9 მარტს ჩვენის საზოგადოების რამდენიმე წევრი თელეთის მთის დასათვალიერებლად წავიდა, საცა მთავრობის მინდობილობით ბ-ნი ლისნევსკი სხვა-და-სხვა მცენარეებს აშენებსო. ბ-ნ ლისნევსკიმ აჩვენა მოსულთ გაშენებული ადგილი, რომელიც 84 დღიურს შეიცავს, და ამასთანავე დაწვრილებით განუმარტა, რა და რა მცენარეს როგორ უნდა მოშენება და მოვლაო.

ამის შემდეგ კრებამ სარედაქციო კამისიის წევრები აირჩია, რომელ კამისიამაც საზოგადოების განყოფილების „შრომის“ (трудъ) გამოცემა უნდა იკისროს. წევრებად არჩეულ იქმნენ: ბ-ნნი გეევსკი, შავროვი, ვინცენბერგი, ლისნევსკი, კავრაისკი და სპეშნიევი. კრებამ აგრეთვე სარევიზიო კამისიის წევრები აირჩია: ბ-ნნი კავრაისკი, კვესსი და გლავაჩეკი, რომლებმაც საზოგადოების შემოსავალ გასავალი უნდა გადაათვალიერონ. „შრომის“ გამოსაცემად მიწადმოქმედების სამინისტროსაგან 300 მან. ყოფილა გადადებული.

დასასრულ პ. ს. ზელინსკიმ 1896 წელს ლენქორანის მაზრაში მის მიერ შეკრებილი ცნობები მოახსენა. მოხსენებიდგანა სჩანს, რომ იქაური მკვიდრნი უფრო ბრინჯის თესვას მისდევენ და (მთა-გორიანს ადგილებში) საქონლის გამრავლებას, და რაოდენადმე ხეხილის მოშენებას, მეფუტკრეობას, მებოსტნეობას და (რუსების სოფლებში) მევენახეობასაც. ბ-ნ ზელინსკიმა სთქვა, რომ იქ პრასა ვერსად ვიპოვნეო და მისი თესლი აქედგან გავგზავნეო. კრებაზედ ლაპარაკი ასტყდა, პრასა სადაური სიტყვააო. ბ-ნი სპეშნიევი ამტკიცებდა, რომ ეს მალოროსიული სიტყვა არისო. ამის შესახებ ერთმა წევრმა სთქვა, რომ პოლტავის გუბერნიაში მე 25 წელიწადი ვიცხოვრე, მაგრამ იქ პრასას ხსენებაც არ არისო. ბ-ნი ზელინსკის აზრით, პრასა სომხური სიტყვაა. ამის შესახებ მას უპასუხეს, რომ თუ ეს სომხური სიტყვაა, მაშ ლენქორანის მკვიდრთ რატომ არ იციან, საცა სომხობა ბლომად სახლობსო. ბ-ნ იოსებ ქუთათელაძემ ბრძანა, რომ ეს ნამდვილი ქართული სიტყვა არისო და დასავლეთ საქართველოში ეს სახელი არსებობს და თითოეულს მოსახლეს ბოსტანშიც უთესია პრასაო.

ამავე კრებაზედ ბ-ნ სპეშნიევსაც უნდა წაეკითხა თავისი მოხსენება „კავკასიის მცენარეთა რამდენისამე ახალის სენის შესახებ“, მაგრამ ეს სამერმისოდ გადიდო.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**მთის რაჭა**, 1 მარტი. გაზეთებმა მთის რაჭველებსაც მოგვიტანა ამბავი შავის ჭირის გაჩენისა ინდოეთში. ამ ამბის გამო აქაურმა ადმინისტრაციამ, როგორც საზოგადოდ მთელს რაჭაში, ჩვენშიაც მოახდინა შემდეგი განკარგულება: 23-ს თებერვალს რაჭის მაზრის უფროსმა ბ-ნმა ყიფიანმა სოფელ ნაკიეთის კანცელარიაში დაიბარა ყველა მთის რაჭის მამასახლისები მათის თანაშემწეებით და მათ გარდა კიდევ თითოეულ სოფლიდგან ორ-ორი კეთილ-სამედო და შეგნებული კაცი. მაზრის უფროსმა ამათზე ჯეროვანი დარიგება მისცა, რომ თუ ვინიცობაა ეწვიოთ ის არა სანატრელი მოულოდნელი შავი ჭირი, ყოველგვარი ღონისძიება იღონონ იმის გასაძევებლად. 24 თებერვალს დღის საზოგადოების მამასახლისმა შეჰყარა სრული კრება თავისის საზოგადოებისა და დაწვრილებით გადასცა ბრძანება მაზრის უფროსისა. ამავე დღეს ურიცხობის ხელმოწერილი განაჩენის ძალით არჩეულ იქმნა რაზმი სანიტართა და მესაფლავეთა (?). მესაფლავეთა ამორჩევამ მეტად ცუდად და სამწუხაროდ იმოქმედა აქაურს დედაკაცებზედ: „ვაი ჩვენი ცოდვა! ვაი ჩვენი ბრალი! ვაი თუ ყველა ერთ ნიაბაგად ამოვწყდეთ უდრო-უჟამოდაო!“ გაისმოდა აქა-იქ საზარლად მოთქმა ზებრუხანა დედაკაცებისა.

აქაურ ხალხთა ფარ-ხმალს, აქაურ დეზინფექციასა და საშუალებას ყოველ გვარ გადამდებ სენის წინააღმდეგ, რომელთაც ესენი ხატონებს ეძახიან, შეადგენს ერთად-ერთი დედაკაცების ლოცვა ბოდიში და ბაზმა-კაკლის გმევა. მოჰკრეს თუ არა ყური ინდოეთში შავის ჭირის გაჩენის ამბავს, აქაურმა დედა-კაცებმაც ჩვეულებრივ საშველებას მიჰმართეს. თითქმის ყოველ ცისმარე დღე და ყოველ ოჯახში იმგვა კეცის ნატეხარზედ ცეცხლ მოდებული ნიგვზის კაკალი და გაისმის მუხლ-მოყრილი დიდედისა ზებრებისა შემდეგის ლოცვით: „ჰოი, დიდებულო ხატონებო! მადლიანნო, სამართლიანნო, ქვეყნით ქვეყნამდი მავალნო, ყაჭ-აბრეშუმის ხვეულნო, თვალ-მარგალიტით შემკულნო, იქო, იდიდა თქვენი სახელი, თქვენი გამომშვები, დაგვტოვეთ თქვენი მადლიერნი, თქვენი მადიდებელნი, შორიდგან მომავალნო, ისე შორს იარეთ, თქვენი სვით, თქვენი ჭამეთ, ჩვენსას ჯვარი დაგვიწერეთო“ და სხ. მაგრამ თქვენს მტერს არა ეშველოს-რა მკითხველო, აქაურ დედაკაცების-ლოცვა-ბოდიშმა და როტკაბოდვამ მთის რაჭველებს ვერა უშველოს-რა შავის ჭირისაგან, თუ-კი ეს სენი ეწვიათ.

აწინდელი სანიტარული მდგომარეობა მთის რაჭველებისა მეტად ბინძური და ადგილად მიმთვისებელია ყოველ გვარ გადამდების სენისა. აქაურ მკვიდრთა ეზო-მიდამო ზამთარ-ზაფხულ მარად სავსეა საქონლის ნეხვითა და ყოველ ნაირის სიმყრალითა, თვით სახლებშიაცკი უსუფთაოდ ცხოვრობენ. აქაურ მცხოვრების ქვეშსაგებ-ზედსახურავს შეადგენს დაკონკილი ჭუჭყით სავსე ქეჩით გადაფარებული ქერის ჩალით სავსე ტყავლოგინები და ოფლით გაჟღენთილი ბანდიანი ცხვრის ტყავები. ღმერთმა ნუ ჰქნას, რომ აქ ინდოეთის შავს ჭირს თავი ეჩინოს, თორემ ისე ი ქვენი მტერი, როგორც მთის რაჭველები დედაბუდიანად ამოწყდებიან. საჭირო და მეტად საჭირო, ვიდრე ჯერ არს, მკაცრი ყურადღება მიაქციოს რაჭის მთის სოფლებს. თუმცა ესლა აქაუ-

---

მილიონისას. აქედგან ცხადათა სჩანს, რომ მოთხოვნილება ნაწარმოებ საქონელზედ ბევრად ნაკლებია. მთელს ქვეყნიერობაზედ მზადდება აუარებელი საქონელი, რომელიც სადმე უნდა გასაღდეს; ყველას ჰსურს თავის საქონელის გასაღება: რუსეთს—სოფლის მეურნეთა ნაწარმოებისა, გერმანიას—სამანუფაქტურო საქონლისა და სხვანი, მაგრამ საქონლის რიცხვი იმდენად დიდია, რომ ბაზრები არა კმარა.

უწინდელს დროში ვაჭრობა ძალიან ადვილი საქმე იყო: ვაჭარი იჯდა თავისთვის ერთს ადგილას და, ვისაც სჭირდებოდა რამე, თითონ მიდიოდა იმასთან. ეხლა საქმე სულ სხვანაირად დატრიალდა. ვიდრე ვაჭრად გახდები და მრეწველობას დაიწყებ, ძნელი და გრძელი ვაჭრობის მეცნიერება უნდა შეისწავლო, მერმე-კი მთელი შენი მხნეობა, ჭკუა და ცოდნა საქონლის როგორმე გასყიდვას უნდა მოახმარო: ეხლა ბაზრების შოვნის საქმე ისეთ საქმედ გარდაიქცა, რომელზედაც დამყარებულია მთელის კაცობრიობის კეთილ მდგომარეობა. დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც კაცობრიობამ თავისის ნაწარმოების გასაყიდად, მიმართა ერთს საშუალებას: ეს საშუალებაა დრო და დრო გამოფენათა გამართვა. ამ გამოფენაზედ მრეწველები და ვაჭრები გაიცნობდნენ ხოლმე სავაჭრო ფირმებს; გაუმჯობესებულ შრომის ნაწარმოებს, ავრცელებდნენ თავიანთ საქონელს და სხვანი. ეხლა-კი დროებითს გამოფენებს თავი დაანებეს და მუდმივსა ჰმართვენ. იქ, სადაც სახელმწიფო სამშობლო მრეწველობის განვითარებასა სცდილობს, ყოველთვის არსდება სავაჭრო მუზეუმები და სხვა. ასე ეძახიან იმ დაწესებულებას, სადაც გროვდება ყოველ გვარი საქონელი იმათთვის, რომელთაც ჰსურთ გაიცნონ გასატან-გამოსატან საქონლის ღირსება. ასეთ მუზეუმთა შორის უფრო ცნობილია: ბრიუსელის მუზეუმი, რომელიც განაგებს საქონლის გატან-გამოტანას, ვენისა, რომელიც განსაკუთრებულს ყურადღებას აღმოსავლეთის ქვეყნებში გასატან საქონელს აპყრობს და ბუდა-პეშტ-უნგრეთისა, სადაც სახელმწიფო იგივე კომისიონერია, დაარსებული აქვე ამისათვის განსაკუთრებული „საერო უსახელო ბანკი“, სადაც ვაჭრებს ყოველ გვარის საჭირო ცნობის შეტყობა შეუძლიანთ. ამისათვის ბელგიაში კანონიც არსებობს, რომლის ძალითაც ყოველი კონსული, რომელიც ჩამოდის ბელგიაში, ვალდებულია დასტოვოს თავისი ადრესი მუზეუმში, რათა ვაჭარ კაცს ყოველთვის შეეძლოს და იმას მიჰმართოს ხოლმე საჭირო ცნობების შესაკრებად.

პეტრე დიდის სიტყვით, „სახელმწიფო ისე უნდა ჰზრუნავდეს ვაჭრობის განვითარებისათვის, როგორც დედა შვილისათვისაო.“ ავსტრიაში ეს მცნება კარგად ახსოვთ. Grofenthal-ში ძალიან გაჩაღებულია სათამაშო ნივთების წარმოება. რადგანაც პირველში ვერ მიდიოდა კარგად ამ ნივთების წარმოების საქმე, ვენის მუზეუმმა განსაკუთრებული მასწავლებლები გამოიწერა, დააარსა სათამაშო ნივთების საწარმოებლათ სასწავლებელი, სხვა-და-სხვა ქვეყნიდგან საუკეთესო ნიმუშები დაიბარა; ერთის სიტყვით, ყოველ გვარი მეცადინეობა იღონა ამ წარმოების გასაუმჯობესებლად. ასევე მოიქცენ ბოჰემიაში შუშის წარმოების გასაუმჯობესებლად. ეხლა ბოჰემიის შუშა მთელს ქვეყანაზედ საუკეთესოდ ითვლება.

როდესაც საფრანგეთსა და შვეიცარიას შორის მეტოქეობა დაიწყო ვაჭრობის მხრივ, მუზეუმმა ისარგებლო ამ შემთხვევით. დამოკიდებულება გაჰმართა რკინის გზებთან, რომელთაც დასწიეს შვეიცარიაში საქონლის გადატანის ფასი; მუზეუმმა გაჰმართა შვეიცარიაშივე ავსტრიის ნაწარმოების გამოფენები, ცნობილ სავაჭრო ფირმებთან ურთიერთობა გაჰმართა და ბოლოს-კი ის შედეგი მოჰყვა ამისთანა მეცადინეობას, რომ ავსტრიის ნაწარმოებმა საქონელმა უფრო მეტი ყურადღება მიიქცია, ვიდრე საფრანგეთისამ. რაც შეეხება ბუდა-პეშტის მუზეუმს, იმის მოქმედება საპოლიტიკო აზრსაც-კი შეიცავს. ამ მუზეუმს საგნად აქვს მშვიდობიანად დაიპყროს ეკონომიურად ბალკანეთის ნახევარ-კუნძული. ამ საგნის მისაღწევად მუზეუმი აარსებს მთელს ოსმალეთში თავისს განყოფილებათ, რომელთ რიცხვი ეხლა 24-მდეა. ასეთის პოლიტიკის საშუალებით მთელი ბალკანეთი ეხლა ეკონომიურად გერმანიამ დაიმონავა.

ამას ჰმოწმობენ ამერიკისა და ინგლისის კონსულები, რომელთაც 1894 წელს შეატყობინეს თავიანთს მთავრობას, რომ ბალკანეთში ყოველ წლიური შემოსავალი და გასავალი ინგლისელების საქონლისა მცირდება და უთმობს ადგილს ავსტრიელების საქონელსაო. ამ გარემოების მიზეზი ის არის, რომ გერმანიის ვაჭრები უფრო მცოდნენი არიან ინგლისის ვაჭრებზედ და იმათ დაუღალავ შრომასა და მხნეობას ვერ შეედრება ინგლისელ ვაჭრების შრომა და მხნეობა.

იყო დრო, როცა ინგლისს ეკონომიურად ვერ შეედრებოდა ვერც ერთი სახელმწიფო, როცა თავისის ცოდნით იგი გაცილებით მაღლა იდგა ყველაზედ, მაგრამ ინგლისელები ეხლა უფრო ცოტა ყურადღებას აქცევენ ცოდნას. ამისი მიზეზი, რასაკვირველია, იმათი ჩვეულებრივი სიამპარტავნეა. როდესაც ცოდნა დაჰკარგეს, ინგლისელებმა ამასთან ერთად დაჰკარგეს სხვაც ყველაფერი. როგორც ბრმა კაცია მოკლებული ყოველსავე მხნეობას, სწორედ ისეა მოკლებული მხნეობას უვიცი ერი, რადგანაც უვიცობა იგივე სულიერი სიბრმავეა. მუდმივ ბაზრების ძებნაში საზღვარგარეთლები სცდილობენ რუსეთშიაც შემოდგან ფეხი. რუსეთი იმათთვის გემრიელი ლუკმაა.

(დასასრული იქნება)

რებმაც მიჰყვეს ხელი და თავიანთ ეზოგარემოდგან სოფელს გარეთ ეზიდებიან დიდის ხნობით შენახულ უწმინდურებას, მაგრამ იმისთვის კი არა, რომ თავის ჭირის ეშინოდეთ, არამედ იმიტომ, არ გადაგვხვდეს ჯარიმა, რომელიც უსუფთაობისათვის არის დაწესებული.

მიხაკო ლებელი.

**ოზ. კაცხი,** (შორაპნის მაზრა). ის საზოგადოებას ექვსი სოფელი ეგენს, რომელთა მკვიდრი 903 კომლის ადის. მართალია—აქაურები დრულად ვერა სცხოვრობენ, მაგრამ ობელ სოფლებთან შედარებით არც იბი ეთქმით. აქაურს სიმდიდრეს ტეს ნაწილად სიმინდისა და ღვინის ავალი შეადგენს, მაგრამ ამ უკანაელმა ბოლო ხანებში სხვა-და-სხვა ისა გამო ერთობ იკლო. სათემო ო დასის მოხელენი შორაპნის მაზი სხვაგან-კი დადიან, მაგრამ ჩვენს ოგადოებაში გზადაც არ გაიარეს, მცა აქ რკინის გზის სადგურიც-კი ებობს.

უმელა ამას ვინდა ჩივის, თქვენი ჭირიმეც წაუღია, მაგრამ ჩვენს საზოგადოებას ერთი ისეთი ნაკლი აქვს, რომ გამხელაც-კი მრცხვენიან. მე მოგახსენებთ იმის შესახებ, რომ ჩვენს საზოგადოებას სასწავლებელი არა აქვს, ისიც ამ დროში, როცა ჩვენზედ უფრო ღარიბს სოფლებში სასწავლებლებიც დამართეს. ამ დიდს ნაკლს აქაურ პოლიციის ბოქაულმა ბ-ნ ნოვოხატნმა ყურადღება მიაქცია და ორ-კლასიანი სამინისტრო სასწავლებლის დაარსება განიზრახა. იმან აქაურ თავად აზნაურთაც სთხოვა ამ საქმისთვის დახმარება საქმით თუ სიტყვით. ბ-ნ ნოვოხატნმა რამდენჯერმე მოუწოდა გლეხებს და თავისი აზრი განუზიარა; მასთანვე შეჰპირდა, რომ თქვენ ოღონდ თანხმობა გამოაცხადეთ და ვეცდები, ამ საქმისათვის მთავრობაც დაგეხმაროთო. მამასახლისმა ბ-ნ იოსებ ცერცვაძემ თავის მხრივ ორმოც და ათს თუმანს შეჰპირდა და აქაურმა თავად-აზნაურობამაც, შეძლებისა დაგვარობაზედ, დახმარება აღუთქვა. ამნაირად თუ კი სასწავლებლის დაარსების სურვილს გამოაცხადებდნენ, მასწავლებლისა და ერთის მსახურის ჯამაგირის გარდა უველაფერი შემოწირულ ფულითა და სხვა მასალით მოეწყობოდა. ის ჯამაგირებიც-კი მარტო შეძლებულს ოჯახებს რომ ეკისრა, ისე რომ მომეტებულად ღარიბ-ღატაკნი და ქვრივ-ობოლნი რომ გადასახადისაგან განთავისუფლებულიყვნენ, სოფელს დიდ ტვირთად არ დააწვებოდა; თითოეულს კომლს წლიურად მხოლოდ 1 მან. 43 კაპ. უნდა გადაეხადა. ასე და ამ რიგად საქმე გაჩარხული იყო, მაგრამ სიბნელემ სინათლეს სძლია და სასწავლებლის დაარსებაზედ გლეხებმა უარი განაცხადეს. რაღა თქმა უნდა, როგორც საზოგადოდ ყველგან და ყოველს საქმეში, აქაც გლეხები მოთავე კაცების შთაგონებით ჰმოქმედებდნენ, რომელთა-შორის, ჩვენდა საუბედუროდ, თვითო-ოროლა ისეთი კაციც ერია, რომელთაც ასეთი დანაშაულობა არ ეპატიებათ. რა აიძულებდათ ამ კაცებს, რომ ასეთს კეთილ საქმეს გზაში გადაეღობნენ, ეს ყველასათვის ცხადია: ზოგს იმათგანს—ჭკუა-გონების სიმცირე და ზოგსაც კიდევ პირადი ანგარიშები.

სწორედ რომ შეებრალებოდა ადამიანს ბ-ნი ნოვოხატნი მის შემდეგ, როცა ასე ჩაუარა ამდენმა მეცადინეობამ. „ნეტა როდემდის დარჩება ასე ბრმად აქაური გლეხ-კაცობაო?“ გულჩათუთქული ამბობდა იგი.

მიხეილ საყვარელიძე

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ამას წინად გაზ. „Нов. Обоз.“-ემ მთელი ფელეტონი დაჰბეჭდა, რომელშიაც ამტკიცებდა, რომ ქართველები და რუსები სომხებზედ ნაკლებად არ არიან ქალაქის თვით-მმართველობის სამსახურშიო. ამის საბუთად მთელი რიგი ციფრები იყო მოყვანილი, მაგრამ ჩვენ ამ ციფრებს ეჭვის თვალით დავხედეთ, ვიცოდით-რა, რომ ამ გაზეთს სომეხთათვის დიდის ძგერითა და ზგერით უცემს გული. ჩვენი ეჭვი მართალი გამოდგა. წარსულ კვირის დღის გაზ. „კავკაზ“-ში პასუხია იმ ფელეტონისა დაბეჭდილი ქალაქის ერთის მკვიდრისა. აი რასა სწერს ეს მკვიდრი:

თვით გაზ. „Нოვ. ობოზ.“-ეს აღნიშნულ ციფირებიდგანა სჩანს, რომ ქალაქის თვით-მმართველობაში საუკეთესო ადგილები სომხებს უჭირავთ, ხოლო დანარჩენ ეროვნებათ გადამწერლებისა და მუშების ადგილები აქვთ დათმობილი... ამ უკანასკნელთა შორისაც უფრო რიგიანი ხელ-საქმე სომხებსა აქვთ, 112 მუშა-დამგველს, რომელნიც ჯამაგირს თვიურად იღებენ. გაზეთმა ჯერ სთქვა, რომ ქართველი მებაღე 130-იაო, მერე გამოაცხადა, ეს შეცდომით მოგვივიდა, 30 ყოფილაო და ჩვენ-კი ვარწმუნებთ, რომ ესენიც აღარ არიან.

ავიღოთ თვით ქალაქის გამგეობა. ქალაქის მოურავი იყო და, რასაკვირველია, ეხლაც სომეხი იქნება; იმისი მოადგილე რუსია და გამგეობის სამნი წევრნი—სომეხნი. მაშასადამე, 20% რუსი ყოფილა, 80% სომეხი და ქართველი-კი არც ერთი. ამ რაოდენობის გასათანასწორებლად შეგვეძლო აქვე დაგვესახელებინა საბჭოს მდივანი—ქართველი, მაგრამ აქაც ხომ ჯერ სომეხი იყო არჩეული და თუ იმან არ დაიჭირა ეს ადგილი, საბჭოსაგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამოო.

შემდეგ ცალკე ნაწილთა უფროსი: მთავარ-ბუხგალტერი, სასანიტარო ინსპექტორი, უფროსი კასსირი, ქალაქის ლომბარდის დირექტორი, სავაჭრო-სამეურნეო ნაწილის უფროსი ზედამხედველი, ქიმიკოსი—სულ სომხები არიან, მხოლოდ ერთი მიწის-მზომელია რუსი.

ასეთ უფროსთა წინაშე არა-სომეხნი ხელ-ქვეითნი ცუდს მდგომარეობაში არიან... და სცდილობენ ჩქარა დააღწიონ თავი ქალაქის სამსახურს: გაეცალათ უფროსი ინჟენერი და აგრეთვე ავჭალის წყალის მილის გამგე, ორივენი არა-სომეხნი.

„ნოვ. ობოზრ.“-ემ არ დაასახელა, ვინა ჰმსახურობენ ქალაქის ლომბარდსა და ობოლთა სასამართლოში და კარგიცა ჰქმნა, რადგან ამ დაწესებულებანში ვერც რუსსა და ვერც ქართველს წამლად ვერ იპოვნით. შემდეგ გაზეთს მოჰყავს მასწავლებელთა რიცხვი, მაგრამ იმათ სამოსწავლო მთავრობა ჰნიშნავს და კიდეც ამიტომ აქ არა-სომეხთა რიცხვი სომეხთა რიცხვს აღემატებაო.

„ნოვ. ობოზრ.“-ე ამბობს, რომ თუმცა ქალაქის გამგეობამ გაზეთით მიიწვია მსურველნი უფროსის ინჟენერის თანამდებობის დასაჭერად და 50 კაცი გამოჩნდა „რუსეთის ყველა კუთხე-კუნჭულიდგან“, მაგრამ მათ შორის არც ერთი ქართველი არა ყოფილაო. რაღა თქმა უნდა, რომ აგრე იქნებოდა! ვინც იცის, რა ხალხიცა სდგას ქალაქის საქმეთა მმართვა-გამგეობის სათავეში, ის ვერც გაჰბედავს იმისს სამსახურში შესვლის სურვილის გამოცხადებას, თუ სომეხი არ არის. ერთს რუსს უნდოდა კენჭი ეყარა თავისთვის ქალაქის გამგეობის წევრის თანამდებობაზედ და გულახდილად უთხრეს: „სომეხი რომ იყო, ამოგირჩევდითო“... იქ, სადაც ხალხს ასეთს რჩევას აძლევენ, ყველა ვერ გაჰბედავს განაცხადოს, ქალაქის თვით-მმართველობაში მსურს სამსახურიო.

დასასრულ ამ წერილის ავტორი ურჩევს „ნოვ. ობოზ.“-ეს თანამშრომელს, ამა ქალაქის გამგეობაში მოსამსახურეთა რიცხვი დაჰყავით ჯამაგირის კვალობაზედ, ჰნახეთ 500 მან. და 1,000 მან. ვისა აქვს წელიწადში და დარწმუნდებით, რომ პირველს რიგში 90% სომეხი მოჰყვება, მეორეში—75% სომეხი და მესამეში 40% სომეხიჳეო...

ამ ციფირებს აი რას დასძენს თვით რედაქცია გაზ. „კავკაზს“-ისა:

იმას გარდა, რომ ქალაქის გამგეობაში სომეხნი ჰმეტობენ სხვა სარწმუნოებისათ, ის დაწესებულებანიც-კი სომხებით არის სავსე, რომელთაც კავშირი და რაიმე დამოკიდებულება აქვთ ქალაქის გამგეობასთანაო. მაგალითებრ, ტფილისის საკრედიტო საზოგადოებაში დირექტორები, ზედამხედველ კომიტეტის წევრნი, კასსირები და სხვანი სულ სომხები არიან; ქალაქის ცეცხლისაგან საურთიერთო დამზღვეველ საზოგადოებაში—სულ სომხები; ტფილისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოებაში—სულ სომხებივე, ორს ბუხგალტერს გარდა, რომელიც დაარსებიდგან იქა მსახურებენო.

ეს ცნობებიც სრულიად საკმარისია იმის დასამტკიცებლადაო, ამბობს დასასრულ რედაქცია, რომ გაზ. „ნოვ. ობოზ.“-ს ძნელად დასაძლევი საქმე უკისრნია და ამაოდ სცდილობს ვიღაცა დაარწმუნოს, ვითომ ყველა ეროვნებას ერთ გვარად ადვილად შეეძლოს იმ დაწესებულებანის სამსახურში შევიდეს, რომელშიაც საქმის გამგენი და თავს-მდგომნი სომხები არიან. რაკი ასეთის დაწესებულების მეთაური სომეხია, ანუ სომეხთა მიერ დაყენებული, ეჭვიც არ არის, რომ სხვა სარწმუნოების ხალხს უდიერად ექცევიან და სდევნიან. ჩვენ სომეხთ ყოველსავე სიკეთეს ვუსურვებთ, მაგრამ... არ უნდა დაივიწყონ ხოლმე დედა-აზრი: „შენც იცხოვრე და სხვათაც შეაძლებინე ცხოვრებაო!..“

ნეტა ეხლა რას-ღა იტყვის გაზ. „ნოვ. ობოზ.“-ე, რითი იმართლებს თავს? ამ გაზეთს ხომ ქალაქის გამგეობის გამართლება თავისის თავის გამართლებად მიაჩნია და ამ მხრივ იმდენი გულ-მოდგინეობაც-კი გამოიჩინა, რომ სომეხთა დაცვა-დაფარვის საქმეში გაზ. „ტიფ. ლისტ“-ს, რომელსაც აქამდე მხოლოდ „ერთის გაზეთის“ სახელით იხსენიებდა, სულითა და გულით შეეთანხმა...

## რუსეთი

შინაგან საქმეთა სამინისტროს საერობო განყოფილებამ უკვე განიხილა პროექტი შესახებ მემამულეთა და გლეხთა ადგილების განსაზღვრისა. ამ საგანზედ მსჯელობა დაიწყეს 1861 წელს, როდესაც სახელმწიფო საბჭომ 27 ივლისს გადასწყვიტა განსაზღვრა ზემოხსენებულ ადგილებისა. სხვა-და-სხვა დამაბრკოლებელ მიზეზებისა გამო, ეს გარდაწყვეტილება აქამდე ვერ შეუსრულებიათ. ზემოხსენებულ პროექტის ძალით ადგილების განსაზღვრა უნდა მოხდეს მემამულეთა და გლეხების თანხმობით და თუ მათ შორის ამ განსაზღვრის დროს უთანხმოება რამ მოხდა და ერთმანეთში ვერ მორიგდნენ, საქმე მომრიგებელ მოსამართლემ-კი არ უნდა განიხილოს, არამედ სოფლის მმართველობამ. პროექტში მოხსენებულია წესდება ადგილების განსაზღვრისა და უთანხმოების განხილვის შესახებ.

— ოდესის პოლიციას დაუპატიმრებია ახალგაზდა კაცი ბურცოვი, ქუჩა-ქუჩა მათხოვრობისა გამო. სასამართლოს ბურცოვმა გულ-ახდით მოუთხრო თავგადასავალი და მიზეზი ამგვარ გაჭირვებამდე მიხწევისა. ბურცოვი მოსკოვის უნივერსიტეტში სტუდენტად ყოფილა. მშობლები ძლიერ შეძლებული ჰყოლია და ამ ჟამად სცხოვრობენ ეკატირინებურგში, სადაც თავიანთი საკუთარი სახლი აქვთ. ბურცოვი ჯერ ისევ გიმნაზიის მეშვიდე კლასში ყოფილა, როდესაც მშობლებთან უსიამოვნება მოსვლია, რის გამოც დაუნებებია გიმნაზიისთვის თავი და წასულა მოსკოვს. აქ თავს ირჩენდა გაკვეთილებით. შემდეგ შევიდა უნივერსიტეტში, მესამე კურსამდე მიახწია, მაგრამ ავად გახდა. რაც ფული ჰქონდა, შემოეხარჯა და შემდეგ ტანისამოსზედ მიდგა ჯერი. ექიმებმა ურჩიეს ჰაერის გამოსაცვლელად სამხრეთისკენ წასულიყო. მოვიდა ოდესაში, ავადმყოფი, არც ფული გააჩნდა და არც ტანთ-საცმელი. ავადმყოფმა ვერაფერი სამსახური ვერ შესძლო და ძალაუნებურად მათხოვრობას მიჰყო ხელი, ვიდრე პოლიცია დააპატიმრებდა.

## უცხოეთი

**აღმოსავლეთის საქმე.** საფრანგეთის პარლამენტის 34 დეპუტატს შემდეგის შინაარსის პროკლამაცია დაუბეჭდიათ: „სამინისტრომ, ბ-ნთ ჰანოტოსა და მელინის წინადადებით, გარდასწყვიტა, რომ საფრანგეთმა საბერძნეთის წინააღმდეგ ძალმომრეობა იხმაროსო. საფრანგეთი ევროპის დანაშთენს დიდ სახელმწიფოთ შეუერთდება და კრიტში ჯარს გაგზავნის, რომ საბერძნეთს ზღვისა და ხმელეთის მხრივ ალყა შემოარტყას.

„ოთხის წლის განმავლობაში ევროპა სულთანის ბოროტ-მოქმედებაზედ ყურს არ იბერტყდა, სომხებისა და აღმოსავლეთის სხვა ხალხთა ჟლეტას გულ-გრილად შესცქეროდა. ევროპა ყოველსავე ამ საზარელს ამბავს ისე უმალავდა საზოგადოებას, თითქმის იგი ამ საქმეში სულთანის თანაზიარი არისო.

„რა რომ კრიტელებმა ამბოხება მოახდინესო თავიანთის სიცოცხლისა და თავისუფლების დასაცველად, რა რომ საბერძნეთის ერმა მოძრაობა დაიწყო თავიანთ კრიტელ მოძმეთა საშველად, ევროპა ამხედრდა და მაშინვე ოსმალეთს მიემხრო, რათა დაჩაგრული ერი კიდევ უფრო დაეჩაგვრინოს.

„ჩვენი მთავრობა გვეუბნება, რომ უპირველეს ყოვლის მშვიდობა უნდა დავიცვათო; მაგრამ თავისის საქციელით იგი მშვიდობიანობას უფრო უთხრის ძირს, რადგან იგი ხელს აფარებს ისეთს შემაძრწუნებელს საქმეებს, როგორიც ოსმალეთში ხდება. ასეთი ბოროტ-მოქმედება-კი იქ არასოდეს არ მოისპობა და მუდამ შფოთსა, სიძულილსა და მღელვარებას გამოიწვევს. ჩვენი მთავრობა თავს იმითი ჰმართლულობს, რომ ევროპის კანცერტი არ უნდა დავარღვიოთო. ჩვენ-კი ვამტკიცებთ, ჩვენს მთავრობას დაავიწყდა ეზრუნა იმისათვის, რომ საფრანგეთის რესპუბლიკას ისეთი ადგილი სჭეროდა, როგორიც იმისს ღირსებას შეშვენის და შეეფერება“.

— 7 მარტს საბერძნეთის ტახტის მემკვიდრეს, ბატონიშვილს კონსტანტინეს, ათინიგან თავისი რაზმი ოსმალეთის საზღვარ ყოლოში გაუყვანია. სანამ გზას გაუდგებოდა, ბატონიშვილს რაზმი დაუთვალიერებია, ამ დროს მრავალი ათინელი შეგროვილა იქ, და ბატონიშვილს და მისს რაზმს დიდის ამბით მიჰგებებიან. რაზმის წინ „წმიდა დროშა“ მიჰქონდათ თურმე, ე. ი. ის დროშა, რომელიც 1821 წელს პელოპონესში ეპისკოპოსმა გერმანმა გაშალა და თავის თანამემამულეთ სამშობლოს განსათავისუფლებლად მოუწოდა.

იმავე დღეს ბატონიშვილ კონსტანტინეს პარიზის ერთის გაზეთის კორესპონდენტისათვის უთქვამს: რადგან დიდ სახელმწიფოებმა არ მოისურვეს, რომ კრიტის საქმე სასურველად გარდაწყვეტილიყო, საბერძნეთი იძულებულია, თავის თავი, თავისი მოძმენი და თავის სახელი დაიცვასო. თუ დიპლომატები ეხლაც არ შეასრულებენ კრიტელების სურვილს ე. ი. კრიტს საბერძნეთს არ შემოუერთებენ, საქმე ისეთს მიმართულებას მიიღებს, რომ ბევრს არ ესიამოვნოსო.

## ნაკვესი

ერთს საკვირველ გულ-წრფელობის და სამართლის მქონე კაცს ყოველთვის იმითი მოჰქონდა თავი, რომ პირში მთქმელი და გულ-მართალი კაცი ვარო.

— ჩემი გული ყოველთვის ხელის გულსავით გარდაშლილიაო, ამობდა იგი, და ენაზედა მაქვს...

— კიდეც მაგიტომ გეტყობა, რომ თავისს ადგას არა გქონია გულიო, შენიშნა ვიღამაც.

**

უმეცარმა კაცმა, მეტად უნიჭომ, მაგრამ თავისის თავის დიდად ნიჭიერად მომტანმა, ერთხელ საზოგადოებაში დიდის თავ-მომწონეობითა სთქვა:

— თუ მომიხდება ხოლმე როდისმე სისულელის თქმა, პირველი მევე ვიცნობი ჩემს სისულელეზედაო.

— რა ბედნიერი ყოფილხარო! შენიშნა ერთმა იქ მყოფთაგანმა: რა მხიარულად უნდა ატარებდე შენს ცხოვრებასაო!..

## წვრილი ამბავი

— ჩინეთის იმპერატორს მოუწადინებია ფრანგულ ენის შესწავლა და ამ ენის მცოდნე კაცის ძებნა დაუწყვია. ერთს კარის კაცს მიუყვანია ვიღაცა ლი, რომელსაც უთქვამს, მშვენივრად ვიცი ფრანგული ენაო და დაუწყო იმპერატორს სწავლება. თურმე იმპერატორს ცოტათი სცოდნია ფრანგული ენა და პირველ დღესვე შეუმჩნევია, რომ ამ მეტიჩარა მასწავლებელს ლის ფრანგული სრულიად არა სცოდნია. მასწავლებელი გამოტყდა უვიცობაში და განრისხებულმა იმპერატორმა შემდეგი სასჯელი გადაუწყვიტა: ჩასვან ლი ციხეში, მისცენ ფრანგული გრამატიკა და იმ დრომდე ჰყავდეთ ციხეში, ვიდრე ფრანგულს ენას შეისწავლისო.

— პორტუგალიის დედოფალი ძლიერ გულ-მოდგინედა სწავლობს ავადმყოფებს. ამ ჟამად დედოფალმა დიდი ყურადღება მიაქცია რენტგენის მიერ გამოგონილ სხივებს და სცდილობს,

ამ სხივების შემწეობით უწამლოს ავადმყოფებს.

— მილიონების პატრონმა გოგარდ-ჭულდმა თავის სატოლეს უფეშქაშა მარაო, რომელიც 200,000 მანათი ჭღირს თურმე. მარაო გაკეთებულია პარიზში, რვა სახელ-განთქმულს მხატვარს ზედ წვრილი სურათები დაუხატავთ. მარაო ბრილიანტებით არის შემკული.

— მკლავად ათინაში, აკროპოლში პანდროსას საკურთხეველში იდგა სამღრთო ხე ზეთის ხილისა, რომელიც ოდესმე სპარსელებმა დაუწვეს. ეხლა ამ ხეს კვლავ ამოუხეთქნია. ხე თითქმის მაჯის სისხოს და ძლიერ წაავავს ოლიმპიის ზეთის ხილის ხეს. ბერძნები ამ ამბით ძლიერ გახარებულნი არიან; ამბობენ, ოსმალოს დავამარცხებთო და გადუწყვეტიათ დაუმშვენონ თავი ამ საღმრთო ხის ტოტებით ვინც ოსმალებთან ბრძოლაში გაიმარჯვებს.

## წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

აქაურ ერთს რუსულ გაზეთში წავიკითხე წერილი „ზოილისა“, რომელიც თავიდამ ბოლომდე სრული სიცრუეა. ზოილის სიცრუეს თქვენი ჭირი წაუღია, ეს ამბავი არ ახალია, ძველია. მე თუ მსურს აქ ორიოდე სიტყვა მოგახსენოთ, მხოლოდ იმიტომ, რომ აღვნიშნო ზემოხსენებულ საქმის ნამდვილი გარემოება. „მუხათ-გვერდის“ მამული ქართველების ხელში უნაყოფო იყო და ეხლა სომხების ხელში სამოთხედ გარდაიქცაო, სომეხმა სამაგალითო მეურნეობა გააწყოო, 190 სული ძროხა ჰყავსო და რძეს ქალაქში ჰყიდისო, 300 მანათი მარტო გასათიბში მისცაო და სხვა ამისთანები. „მუხათ-გვერდში“ სულ არ მოიძებნება 50 დესეტინა სათიბი მიწა და რამდენი უნდა გაითიბოს აქ თივა, რომ გასათიბი 300 მანათი ღირდეს. ეს შენიშვნა, მაშასადამე, სიცრუეა. სიცრუეა ისიც, რომ 100 სული ძროხა ჰყავსო. ეს ძროხები იმისი-კი არ არის, თათრებისაა და მხოლოდ ადგილი მიაქირავა სომეხმა თათრებს საძოვრად. მაშასადამე, თვით-კი არ ეწევა მეურნეობას, არამედ აქირავებს მამულს... ამბობს აგრეთვე, რომ წინანდელმა პატრონმა ათი წელიწადი სახლი აშენა და ვერ ააშენაო; ესეც მტკნარი სიცრუეა; წინანდელმა პატრონმა სახლიც ააშენა, ვენახიც, გამართა სრული მეურნეობა, სომეხმა-კი ეს სულ ამოაგდო ამ ერთს წელიწადში და-კი არ გააუმჯობესა. წინანდელ ბაღ-ვენახში ეხლა თათრის ძროხები დადიან. განა ამასა ჰქვიან გაკეთება, მეურნეობა? ერთის სიტყვით, რაც არა გააფუჭეს რა, ახალი არა გაუკეთებიათ-რა და საიდამ მოელანდა იქ მეურნეობა და ისიც სომხისა ბ-ნს „ზოილს“? ერთხელაც ვიტყვი, „მუხათ-გვერდის“ ეხლანდელს პატრონს ისეთი არა მოუქმედნია-რა, რომ მისაბაძი და სანატრი იყოს რომელისამე კეთილ-სინიდისიერ კაცისათვის.

ბატონო, ეგ რა საქებია. საქები აი ის ქართველია, რომელსაც ორი დესეტინა მიწა აქვს და სამი შეიარაღებული კაცი-კი უყენია და ეს საკვირველი მეურნე ოც თუმანს კიდევ ტყვია-წამლისათვის ჰხარჯავს ოველ წლივ... ეს ორი დესეტინა აცმევს, აჭმევს, ცოლ-შვილს უნახავს. აი მეურნეობა ასეთი უნდა!!?? ამ ქართველს „ზოილი“ კარგად იცნობს და ისევ მისი მეურნეობა აგვიწეროს, ეგება ქართველობამ ჭკუა ბ-კაცის დაფასება ვისწავლოთ.

კ. ყ—შვილი

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

15 მარტი.

**პეტერბურგი.** 15 მარტს ხელმწიფე იმპერატრიცა მარია თეოდორეს ასული იმყოფებოდა ქსოვილებისა და არშიების გამოფენაზედ მარიას მეარშიეთა სასწავლებელში.

**პარიზი.** რესპუბლიკის პრეზიდენტმა მიიღო ნანსენი, რომელიც შვეციის ელჩმა წარუდგინა. ფორი ებაასა ნანსენს ნახევარ საათამდე და გარდასცა „საპატიო ლეგიონის“ ორდენის კამანდირის ნიშანი. ამის შემდეგ ნანსენი წარუდგა ქ-ნს ფორს, რომელთანაც ქ-ნი ნანსენი იმყოფებოდა.

**კონსტანტინეპოლი.** ოსმალეთის ესკადრა მოვიდა ბეზიკის ყურეში, სადაც შეჩერდა სავარჯიშოდ.

ის ამბავი, რომ ვითომ გერმანიისა და რუსეთის აფიცრები, იმ ოსმალეთის ჯარში იმყოფებიან, რომელიც საბერძნეთის საზღვარზედა სდგასო, და რომ ოსმალეთის ესკადრაში გერმანიის აფიცრებიც არიანო, საფუძველს მოკლებულია.

სომეხთა პატრიარქმა ტოკატში გაჰგზავნა სივაში განწესებული ეპისკოპოსის თანამდებობის აღმასრულებელი.

16 მარტი

**პეტერბურგი.** უმაღლესი ბრძანება: ინიშნებიან: ლომჟინის გუბერნატორი გენერალ-მაიორი როგოვსკი—მართლ-მსაჯულების საიმპერატორო სასწავლებლის დირექტორად; თერგის ყაზახთა ჯარის შტაბის უფროსი გენერალ-მაიორი ბატორსკი—ეკატერინოსლავლის გუბერნატორად.

რუსეთში შავი ჭირის საწინააღმდეგოდ დაარსებულ კამისიისაგან:

14 მარტს თეოდოსიიდგან მიღებულია შემდეგი ცნობები ავადმყოფ ჯუზეპე ჩემენტანოს შესახებ „ბლოდვინის“ გემზედ: სიცხე საღამოთი 37. 6°/₁, დილით 36, 6¹/₀ ავადმყოფს რიგიანად სძინავს, მადა და თვით მგრძნობელობაც რიგიანი აქვს; ჯირკვლები უცხრება; ავადმყოფის სისხლი აუცრეს ზღვის გოჭებს, მაგრამ ჯერ არაფერი გამოსჩენიათ.

**პარიზი.** პალატა. ბრისონმა განაცხადა, განკარგულება მოგვივიდა, რომ სამი დეპუტატი სამართალში იქმნას მიცემულიო. პალატამ გადასწყვიტა დაუყონებლივ მოახდინოს კრება კამისიის ასარჩევად, განსახილველად ზემოხსენებულ განკარგულებისა, რომელიც პანამის საქმის გამო არის გამოწვეული და შეეხება ნაკეს, ანრი მორეს და ანტიდ ბუდიეს.

**პარიზი.** პანამის საქმის გამო ერთს სენატორსაც ბრალი ედება, სახელდობრ ლევრეს.

**კიენი.** აქ მობრძანდა დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოოზის ძე. მიეგებნენ შვილი და აქაურ ახალშენის რუსები; ქალაქის მოურავმა მისს უმაღლესობას სიტყვა მოახსენა.

**ბერლინი. რეიხსტაგი.** ბიუჯეტის მესამე განხილვა. საზღვაოსნო ბიუჯეტი დამტკიცებულ იქმნა მეორე განხილვის დადგენილებათა თანახმად.

**ლონდონი.** ეხლა ხან მოსულ ცნობებიდგანა ჰსჩანს, რომ ტოკატში მომხდარ უწესოების დროს მოკლულია 400 სომეხი.

**კონსტანტინეპოლი.** ელჩები კმაყოფილნი არ არიან თანამდებობიდგან გადაყენებით, დაპატიმრებითა და გამომძიებელ კამისიის გაგზავნით ტოკატში, რადგანაც უმთავრესი დამნაშავე—რედიფის ჯარის სარდალი ჰაქქი-ფაშა თავისუფალია. ელჩები მისს დაპატიმრებას თხოულობენ.

ერდალშიაც უწესოება დაიწყო, დაწვრილებული ცნობები ჯერ არ არის.

კონსტანტინეპოლის მცხოვრებნი ძლიერ აღელვებულნი არიან იმ ხმების გამო, რომ სომხები უწესოების მოხდენას აპირებენ და ოსმალნი ძალმომრეობას ბერძნების წინააღმდეგ.

**კანეა.** ღამის 11 საათზედ გაზიში, კონდიასთან დიდი ბრძოლა იყო. ოსმალელთა ჯარი ძლიერ დაზიანდა და კონდიისაკენ დაიწიეს. ხვალ ოსმალელნი ეცდებიან კისამოში სურსათი მიაწოდონ. თუ ბერძნები ხელს შეუშლიან, ავსტრიისა და იტალიის გემები ოსმალებს დაეხმარებიან.

17 მარტი

**პეტერბურგი.** შინაგან საქმეთა მინისტრმა დაადგინა: შეჩერებულ იქმნას გაზ „Самарскій Вѣстникъ“-ის გამოცემა ოთხის თვით.

16 მარტს წაბრძანდა დანიას ხელმწიფე იმპერატრიცა მარია თეოდორეს ასული. მისდა გასაცილებლად ვარშავის რკინის გზის სადგურზედ შეიკრიბნენ დიდნი მთავარნი და დიდნი მთავრინანი. ხელმწიფე იმპერატორმა გააცილა იმპერატრიცა მარია თეოდორეს ასული პეტერბურგიდგან ალექსანდროვსკის სადგურამდე, სადაც საიმპერატორო მატარებლის მოსვლის დროს მობრძანდა ხელმწიფე იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული.

**მოსკოვი.** 16 მარტს სასოფლო სამეურნეო საზოგადოებაში იდღესასწაულეს დაარსება რუსეთის ლუდის მკეთებელთა კავშირისა. კრებამ კავშირის საპატიო წევრებად ამოირჩია ფინანსთა მინისტრი, დირექტორი კოვალევსკი, გაუწერელ გარდასახადთა გამგეობის უფროსი მარკოვი, ტავილდაროვი. კავშირში 84 წევრი იღებს მონაწილეობას.

**სტამბოლი.** სომეხთა პატრიარქს ცნობები მოუვიდა, რომ ტოკატში მომხდარ ხალხის ხოცვა-ჟლეტის დროს 700 სომეხია მოკლულიო.

**კანეა.** აკროტირის მეამბოხეებმა სროლა დაუწყეს ბრიტანიის ადმირალს, როდესაც იგი სანადიროდ მიდიოდა. მეამბოხეებს ჰგონებოდათ, რომ ადმირალთან მყოფ ზღვაოსანთ განზრახვა აქვთ სროლა დაგვიწყონო.


# განცხადებანი

ყვავილებისა და ხეხილების გასაშენებელი ბაღი

**ქ. ფ. გლოვაჩევისა**

(მდინარე ვერაზე, ხიდის გაღმა, მარჯვნივ) ისყიდება ნამყენი ხეხილები, კვიპაროზისა და მრავალი სხვა მშვენიერი ხეხილი და ბუჩქები.

თესლეულობის მაღაზიაში,

გოლოვინის პროსპექტზედ (სახლი დობრჟანსკისა) ისყიდება ახალი თესლები ყვავილებისა და ბაოსტნე; უმრავლესი ნაწილი თესლისა საკუთარი ბაღიდგან არის.

(6—86—5)

ახლად გამოვიდა და ისყიდება

**ფაბიოლა**

ანუ წინანდელი ქრისტიანები

გამოცემა უდაბურ წმიდის მმობისა, თარგმანი ა. ნიკიტინისა.

წიგნი 68 გვერდია და ღირს ერთი შაური.

ისყიდება ტფილისის ყველა წიგნის მაღაზიებში. ტფილისს გარეთ: ოზურგეთში თავართქილაძესთან, მაჩხაანში დ. ნადირაძესთან, ბორჯომში მ. სალარიძესთან, თელავში ილ. იმერლიშვილთან და სურამში არშაკ შულაროვთან.

**1897. ГОДЪ СЕДМОЙ. 1897.**

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1897 ГОДЪ

на ежемѣсячный литературно-историческій журналъ

## „ВѢСТНИКЪ ИНОСТРАННОЙ ЛИТЕРАТУРЫ“

**Въ 1897 году „ВѢСТНИКЪ ИНОСТРАННОЙ ЛИТЕРАТУРЫ“ будетъ издаваться въ своемъ обичномъобъемѣ.** Въсоставъ журнала войдутъ: Классическія произведенія.—Романы, повѣсти и расказы.—Маленькая юмористика.—По вопросамъ общественнымъ и нравственнымъ.—Критическіе этюды.—Новое о знаменитыхъ писателяхъ.—Россія заграницей.—Научныя новости.—Историческіе очерки, разсказы и анекдоты —Изъ заграничной хроники.—Стихотворенія.—Мелочи.

**Съ января 1897 года въ приложеніи будетъ печататься историко-литературная монографія**

**ГЕОРГА БРАНДЕСА**

## ВИЛЛІАМЪ ШЕКСПИРЪ

Исторія его жизни и дѣятельности по его твореніямъ и на оснаваніи критическаго изслѣдованія наилучшихъ источниковъ Шекспирской литературы. *Въ трехъ частяхъ своего труда Георгъ Брандесъ прослѣживаетъ жизньи творчество Шекспира въ условіяхъ его времени изъ года въ годъ, отъ сочиненія къ сочиненію, и возсоздаетъ яркій образъ этого величайшаго изъ геніевъ всемірной литературы.*

**ПОДПИСНАЯ ЦѢНА НА 1897 ГОДЪ ПРЕЖНЯЯ:**

съ доставкою и пересылкою **4** р. | безъ доставки и пересылки **3** р. **50** к.

**подписка на 1896 годъ продолжается по той же цѣнѣ.**

**подписка принимается:** въ С.-Петербургѣ— въ Конторѣ Редакціи, ГОСТИНЫЙ ДВОРЪ, Зеркальная линія, №63, магазинъ ПАНТЕЛЕЕВА (противъ Пажескаго Корпуса); **въ Москвѣ**— въ Конторѣ Н. Н ПЕЧКОВСКОЙ, Петровскія линіи, **а гг. иногородніе благоволятъ адресоваться** въ Редакцію, С.-Петербургъ, Верейская ул., № 16, собств.

Редакторъ Ѳ. И. Булгаковъ Издатель Г. Ѳ. Пантелеевъ

„Вѣстникъ Иностранной Литературы“ за 1891, 1892, 1894, и 1895 гг. продается по 4 р. годъ съ пересылкою до всѣхъ станцій желѣзныхъ дорогъ товаровъ малой скорости, а съ пересылкою по почтѣ за каждый годъ на 2 рубля дороже.

## ТАМЪ ЖЕ ПРИНИМАЕТСЯ ПОДПИСКА

НА 144 ТОМА СОЧИНЕНІЙ СЛѢДУЮЩИХЪ ПИСАТЕЛЕЙ:

Э. Зола, Бальзака, Флобера, Ж. Занда, Диккенса, Вальтеръ Скотта Бретъ-Гарта, М. твэна, Этгара Поэ, Шпильгагена, Гофмана и Эберса.

**ВСѢ 144 ТОМА** будутъ изданы въ теченіе трехъ лѣтъ, по 48 том. въ годъ, т. е. по 4 тома ежемѣсячно, по 320 стран. въ каждомъ томѣ въ 8 д. листа, четкимъ шрифтомъ. Форматъ и шрифтъ—собранія сочиненій Гюи де Мопасана.

*По 15 Ноября 1896 г. вышло 48 томовъ*

**ЦѢНА ТОЛЬКО ПО ПОДПИСКѢ:**

**ЗА ВСѢ 144 ТОМА** безъ доставки **36 Р.**, съ доставкою въ Петербургѣ и съ пересылк. въ друг. города **48 Р.**

разсрочка допускается на слѣдующихъ основаніяхъ:

**Подписчикамъ безъ доставки:** при подпискѣ вносится 15 руб., къ 15 декабря 1896 г. 3 р., а затѣмъ каждые три мѣсяца, считая съ 15 декабря 1896 г., вносится 3 р.

**Подписчикамъ съ доставкой и пересылкой:** при подпискѣ вносится 20 руб., къ 15 декабря 1896 г. 4 р., а затѣмъ каждые три мѣсяца, считая съ 15 декабря 1896 г., вносится по 4 р.

*По этой цѣнѣ подписка принимается только* **на 5000 экземпляровъ,** *а затѣмъ ПОДПИСНАЯ ЦѢНА ПОВЫСИТСЯ. о чемъ будетъ объявлено своевременно.*

*ТАМЪ ЖЕ можно получить СОБРАНІЕ СОЧИНЕНІЙ:*

ГЮИ ДЕ МОПАСАНА. 2-е изданіе. 12 томовъ. Цѣна 6 р., съ пересылкой 7 р. 50 к.

АЛ. ДОДЕ. 12 томовъ Цѣна 6 р., съ пересылкой 7 р. 50 к.

В. ТЕККЕРЕЯ. 12 томовъ. Цѣна 6 р., съ пересылкой 7 р. 50 к.

ИЗЯЩНЫЕ КОЛЕНКОРОВЫЕ ПЕРЕПЛЕТЫ:

Цѣна 6 переплотовъ на 12 томовъ А. Додэ 1 р. 80 к., на 12 том. В. Текерея 1 р. 80 к. и на 12 том. Гюи до Мопосана 1 р. 80 к. Перес. 6 перепл. за 3 ф., по разстояніямъ. **АДРЕСОВАТЬСЯ:** въ редакцію „Вѣстника Иностранной Литературы“, Спб., Верейская, 16 или въ контору, Гостиный дворъ, магазинъ П. Ѳ, Пантелеева, № 63.

(12—4


Дозволено цензурою, Тифлисъ 17-го Марта 1897 г. სტამბა ქ. მარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.